№ 119, ივნისის 7, პარასკევი. 1866—1885 ივნისის 7, პარასკევი. № 119.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ. – 4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. რეცხვა სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კეთილობაზედ.

თუ ხაჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია კერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

„დროების“ ფასი ივნისის პირველიდამ წლის დამლევამდე 6 მანათი; სოფლის მასწავლებელთათვის 4 მანათი და 50 კაპ.

შინაური ქრონიკა

ᲨᲝᲗᲘᲓᲐᲛ გვწერენ: «ჩვენს ქალაქში ოთხი ექიმია, მაგრამ, სამწუხაროდ, ღარიბებს ვერც ერთი მათგანი ვერ ადგება. იმ ექიმს, რომელიც ჯამაგირს ღებულობს, უნდა ეძლეოდეს კანონით 15 კაპეიკიდამ 30 კაპეიკამდე თითო ვიზიტისათვის, მაგრამ დოქტორების კანონმა ამ უკანასკნელს ციფრს ერთი ნული კიდევ მოუმატა ბოლოში და თითო ვიზიტზედ 3 მანათს ნაკლებ არა სჯერდებიან. რა თქმა უნდა ამისთანა ძვირი ხილი ღარიბს-კი არა, შუათანა შეძლების კაცსაც-კი კბილს მოსჭრის.

ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘ ᲨᲝᲗᲨᲘ ძალიან შემცირდა, რადგან აუცრელი თითქმის არაევინ დარჩა, მხოლოდ უმცროსმა სამხედრო ექიმმა რაღაც მეცნიერული საბუთით აცრის წინააღმდეგ ქადაგება დაიწყო და ამ მოძღვარს მოწაფეებიც გამოუჩნდენ, ასე რომ ზოგიერთა სახლობა სრულიად აუცრელი დარჩა.»

ᲛᲔᲗᲣᲚᲣᲮᲔᲔᲑᲘᲡ თავ-წასულობა წრეს გარედ გადის. ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ არის ტაქსა დადგენილი და მეთულუხეებისათვის-კი არა. იგინი იმავე ფასად ზიდვენ წყალს ამ საქონლის საჭმლის იაფობაში, როგორც მაშინ, როდესაც ფუთი ქერი ორი მანათი იყო და თივა ერთი მანათი. ამასთანავე ყველა მეთულუხეებს ერთი-ერთმანეთთან აქვთ კუდი გადაბმული და თუ ახალმა ვინმემ მოინდომა მეთულუხობა, ყოველს ღონისძიებას ხმაროობენ, ხელი შეუშალონ, რადგანაც ეშინიანთ ახალმა მეთულუხემ წყალის ზიდვა არ გააიაფოსო. ᲔᲠᲗᲘ კაცს გაემართა თულუხი და მეთულუხეებს მისთვის ერთი სასამად მეტი ფასი მიეცათ და ცხენი თავის თულუხით შეესყიდნათ. ᲙᲐᲠᲒᲘ იქნება ამ გარემოებას ქალაქის სამმართველომ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს.

ᲑᲐᲜᲯᲘᲓᲐᲛ გვწერენ, რომ ერთერთს იქაურ სტანციათაგანზე მსახურებს სტანციის უფროსის თანაშემწე, რომელიც უწინ სალდათად ყოფილა და, ძველი ჩვეულებისამებრ, თავის ხელ-ქვეითებს რეკრუტებსავით ეექცევა. ᲘᲡᲔᲓᲐᲪ დაღლილ და დაქანცულ მოსამსახურეებს (კონდუხტორებს და განსაკუთრებით ქართველებს) გინებით და ლანძღვით იხსენიებს და ხანდისხან იქამდის გადადის წრეს, რომ საცემადაც არა ზოგავსო.

ᲔᲠᲗᲘ ამ ნაცემთაგანი ზეთის წამსმელად არის, გვარად მაკასაროვი, ცოლ-შვილიანი და კარგა ხნის კაცი; მას საცემი არა დაუშავებია-რა.

ᲐᲛ ᲣᲬᲔᲡᲝᲑᲐᲡ ვითომ ყურადღება მიაქცია რევიზორმა ბ. მაქსიმოვსკიმ, რომელმაც მოწმებსაც ჰკითხა; მაგრამ ჯერ-ჯერობით არაფერი ისმის, თუ რით გათავდა საქმე. ᲩᲕᲔᲜ-ᲙᲘ ᲦᲛᲔᲠᲗᲡ ᲕᲔᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘᲗ, რომ მოგვაშოროს ამ სტანციიდამ ეს უღმერთო პირი.

«ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲘᲠᲘ, ზ-ისაგან ნაცემი, არის ერთი კონდუქტორი, რომელიც მოწამედ იყო მაკასაროვის საქმეში. სხვაც ბევრი უსამართლობა მიუძღვის ამ ზ-ის, ასე რომ, რაც ამ სტანციაზე კონდუქტორები უსამართლოდ იშტრაფებიან და ირიცხებიან იმის წყალობით სამსახურიდამ, სხვაგან, ვგონებთ, ხუთს სტანციაზედ ერთად არ მოხდება ეს ამბავი.

Ს. ᲓᲘᲚᲝᲛᲘᲓᲐᲛ დიდს საჩივარს იწერებიან სოფლის მოხელეებზედ და უმეტესად სასოფლო მწერალზედ, რომელსაც საკმაო ჯამაგირი ეძლევა, მაგრამ ამითი მაინც არა კმაყოფილდებაო. როგორც სოფლის მოჯამაგირე, ის მოვალე არის ხალხს ყოველ-გვარი ქალალდი შეუდგინოსო, მაგრამ ვაი იმას, ვისაც ამ მოხელის გული სხვა რიგადაც არა აქვს მოგებულიო.

«ᲐᲮᲐᲚᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐᲨᲘ» სწერია შესახებ ბ, ᲧᲝᲠᲚᲐᲜᲝᲕᲘᲡ გამართლებისა: ამბობენ, რომ «ᲑᲠᲐᲕᲝᲡ ᲫᲐᲮᲘᲚᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲢᲐᲨᲘᲡ ᲙᲕᲠᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ» ისმოდა არა ნაკლებ ხმა-მაღლივ სტვენაო. ᲔᲡ ამბავი მართალია, მხოლოდ ჩვენ არ ვიცოდით, ეს სტვენა როგორ აგვეხსნა. ᲑᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘᲡ გამო უკმაყოფილობას აცხადებდენ მით, თუ ამით უნდოდა საზოგადოების კეთილგონიერს ნაწილს აღედგინა წესიერება სასამართლოში. რამდენადაც გავიგეთ საზოგადოების აზრი შესახებ ხსენებული განაჩენისა, ჩვენ დავრწმუნდით, რომ ზოგს მოსწონს იგი და ზოგი აძაგებს. ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘᲜᲘ კი იმ აზრისანი არიან, რომ თუნდა ᲧᲝᲠᲚᲐᲜᲝᲕᲘ ნამდვილადაც დამნაშავე იყოს, იგი აქამდისაც საკმაოდ დაისაჯაო. ᲗᲕᲘᲗ მოსამართლეებიც ორად გაყოფილან ამ განაჩენის შესახებ. ᲑᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘ ხმის უმეტესობით არის დადგენილი.

ᲘᲛᲐᲕᲔ გაზეთს ატყობინებენ ᲝᲠᲓᲣᲑᲐᲗᲘᲓᲐᲛ, რომ იქ გაჩენილა რაღაც მხეცი, რომელიც ღამ-ღამე შედის ეზოებში და იტაცებს მძინარე ბავშვებსაო. ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ისე ღამე არ გავა, რომ ერთი ბავშვი მაინც არ იმსხვერპლოს. ᲐᲛ მხეცს სომხები მგელ-კაცას ეძახიანო და ამბობენ იგი სპარსეთიდან არის გადმოვარდნილიო. მონადირეებს თოფები და თოფის წამალი დაურიგეს და ეგრეთვე დაუნიშნეს შესაფერი ჯილდო იმ პირს, ვინც ამ მგელ-კაცას მოჰკლავსო.

ᲘᲛᲐᲕᲔ გაზეთს სწერენ, რომ განჯის გუბერნიაში, ᲖᲐᲜᲒᲘᲖᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ, გაჩენილა კალია; ადგილობრივს ადმინისტრაციას მიუღია ზომები იმის მოსასპობად.

ᲘᲛᲐᲕᲔ გაზეთში სწერია: ᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ, სოფ. ᲕᲔᲯᲘᲜᲨᲘ ერთს გლეხს ᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲘᲛᲔᲓᲐ-ᲨᲕᲘᲚᲡ, 75 წლის ბერიკაცს, მაისში შეეყარა ყვავილი. ᲑᲔᲠᲘᲙᲐᲪᲛᲐ არად ჩაადო ეს ავადმყოფობა. ᲘᲒᲘ არა თუ ლოგინად არ ჩავარდნილა, არამედ ისევ ისე დადიოდა გარედ და მუშაობდა თავის ვენახში როგორც კარგად-მყოფი. ᲐᲛ

ხმა ქუთაისიდამ

სასწაული.—საკვირველი სიზმარი.—შესანიშნავი მკითხავი.—„გამოუცელელი“.—მრავალ-გოჭებიანი ღორი.—კადნიერი მეხილე.—სვირნობა.—ბ. ს—ვი.—თ. გ. წ—ლი და ფალავნები.—ისევ სასწაულები.—ერთი ცხელი ამბავიც.

ᲓᲐᲛᲔᲠᲬᲛᲣᲜᲔ, მკითხველო, რომ ქვეყანაზე სასწაული არის. ᲕᲘᲡᲐᲪ ᲔᲡ ᲐᲠᲐ ᲡᲬᲐᲛᲡ, ის მეტის-მეტი ჯიუტია. ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ რასაც თვალით არ დაინახავს არ ერწმუნება და ამ ურწმუნოებით დაბრმავებულია. ᲐᲑᲐ, თქვენი ჭირიმე! ᲗᲣ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲐᲕ, სასწაულია—თუ რაც უნდა იყოს, ძალად ხომ ვერ დაგანახვებს თავს? ᲮᲝᲛ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲒᲘᲫᲐᲮᲔᲑᲡ: „შემომხედე! აქა ვარო!“ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ მოუცია ღმერთს, გამოაჭყიტე და კიდეც დაინახავ, თუ ისეთი ურწმუნო ხარ, რომ გაგონილი არ გჯერა. ᲡᲐᲥᲛᲔ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, თუ რას ვეძახით სასწაულს? ᲩᲔᲛᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ: ყოველ-გვარი უჩვეულებრივი მოვლენა სასწაულია და ვინც ასე განმარტებს ამ სიტყვების მნიშვნელობას, მას, უეჭველია, სასწაულიცა სწამს.

***

ᲓᲐᲛᲔᲠᲬᲛᲣᲜᲔᲗ, რომ სადმე სამართალი იყოს, ქუთათურებს ყველას უნდა სწამდეს სასწაულის ძალა. ᲑᲔᲕᲠᲘ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ და მართლა ისტორიის გვერდებზე დასაწერი მოვლენებანი მოხდენ აქა და ჰხდებიან კიდეც. მაგალითად ავიღოთ მაისის 23-ის ღამე. ᲔᲡ ღამე გახლავსთ ფრიად შესანიშნავი და ყურადღება მისაქცევი ღამეა. ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲘᲜᲔᲗ: თვითოეულ მწერს იმ მოხელეობის ნაწილისას, რომელსაც ქალაქის სიწმინდესიმშვიდე აბარია ხელში, ერთი და იგივე სიზმარი ენახა ამ შესანიშნავ ღამეს. ᲐᲘ სიზმარიც: ყველა მწერებს მოუყრიათ თავი ერთს დიდს, მალალს, თეთრს კლდესთან. ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲥᲣᲓᲛᲝᲮᲓᲘᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲣᲔᲪᲠᲐᲓ ᲒᲐᲘᲠᲦᲕᲔᲕᲐ თეთრი კლდე და გამოვა თეთრი კაცი! ᲖᲘᲡ თეთრს ცხენზედ, ტანთ აცვია თეთრი ტანისამოსი; წელზედ არტყია თეთრი იარაღი: სახით მრისხანეა!? ᲐᲛ სიზმარმა მეტად შეაშინა ჩვენი სიწმინდ-სიმშვიდის დამცველნი, გული აუთამაშდათ და რომ არ გაღვიძებო დათ კიდეც, ძილში გაიპარებოდენ და ობლად დაგვყრიდენ.

ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ამ გვარის სიზმარისა, კაცს ძნელად დაეძინება. ᲐᲘ ეს იყო მიზეზი, რომ ჯერ რიჟრაჟი არ იყო, და ერთი ალმიდამ მორბის, მეორე და მესამე ღმიდამ, მარჯვენით, მეოთხე მარცხნით. ᲖᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ სხდომა, მას მოჰყვა რჩევა. ᲣᲐᲛᲑᲔᲡ ერთი-მეორეს თაეიანთი სიზმარი და მით უფრო გაფითრდენ, რომ ყველას ერთ-გვარად ენახა იგი. ᲑᲐᲓᲐᲡᲬᲧᲘᲢᲔᲡ მიქცევა მკითხავისადმი. ᲐᲘᲠᲩᲘᲔᲡ დეპუტატები, რიცხვით სამი კაცი, შეკრიბეს ერთი თუმანი, უჯიბეს მათ და გააპარეს მკითხავისაკენ. ᲛᲘᲡᲕᲚᲘᲡᲗᲐᲗᲐᲜᲐᲕᲔ მიხვდა მკითხავი ამათ მიბძანების მიზეზს. ᲚᲝᲑᲘᲝᲪ არ გაშალა, ისე უამბო: „ესა და ეს მობძანდება და თუ მარჯვედ არ იქენით, ძლიერ გაგიჯავრდებათ ქალაქის ბინძურად შენახვისათვისაო“. მოდი და ნუ ერწმუნები სასწაულის და მკითხაობის ძალას?!—„ᲪᲠᲣ-ᲛᲝᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲐᲐᲝ!“ წამოიძახებს ვინმე, მაგრამ რა გაეწყობა.

***

ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ, რომ ყოველს ქალაქს ჰყავს თითო სიმშვიდ-სიწმინდის უფროსი. ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡᲐᲪᲐ ᲰᲧᲐᲕᲡ ამ გვარი პირი, ხოლო იგი არ არის და-

გაუფთხილებლობის გამო იმედა-შვილს დაემართა ცხელება. მაგრამ არც ამ ავადმყოფობამ შეაშინა იგი; ისევ ისე დადიოდა სოფელ-სოფელ, ერთჯერ დუქანშიაც შესულიყო და იქ კინალამ ჭურჭელი სულ არ დაემსხვრიეა; ბერიკაცი დაეჭირათ, შინ წაეყვანათ და ძალის ძალად ჩაეწვინათ ლოგინში. რამდენიმე დღის შემდეგ ბერიკაცი სრულიად მორჩა.

დეპუტატის მღვდელს

მამა დავით ღამბაშიძეს.

ბაზეთ „მწყემსის“ მე-8-№-ში ეწერა შენიშვნა მამა დეპუტატის მღვდლის დავით ღამბაშიძისა, შესახებ იმერეთის ეპარქიულის სამღვდელოთ დეპუტატთ კრებისა, რომელიც მოხდა სამს აპრილს ამა მდგომარე წლისას. ეს შენიშვნა შემეხებოდა საკუთრად მე, როგორც იმ კრების თავს-მჯდომარესა. მე მინდოდა მიმეცა მამა ღამბაშიძისათვის პასუხი წაკითხვისა - თანავე იმ შენიშვნისა, მაგრამ შემაჩერა აქამომდე იმ გარემოებამ, რომ იგი ჰპირდებოდა „მწყემსის“ მკითხველს ამ კრების დაწვლილებით მოქმედებაზედ მომავალს №-ში მოლაპარაკებას. ვიცადე შემდეგის ნომრის გამოსვლამდის, მაგრამ ამ ნომერში ვერასფერი ველარ ვპოვე მ. ღამბაშიძის დაპირების შესახებ და ახლა მე მხოლოდ ვაგებ პასუხს იმაზედ, რაც შენიშვნები მამა ღამბაშიძეს მოჰყავს თავის „მწყემსში.“ მ. ღამბაშიძე ამბობს თავის შენიშვნაში: «ამ ცოტა ხანში ჩვენ მივიღეთ იმერეთის ეპარქიის ზოგიერთ დეპუტატთაგან თითქმის ყველრებით სავსე წერილები იმის თაობაზე, რომ სამღვდელოების ამ უკანასკნელს შეკრებილებაზედ არ დავესწარი და არ მივიღე მონაწილეობა შეკრებილების გარდასაწყვეტ საქმეებში.“ ძალიან სასიამოვნოდ დამირჩებოდა, რომ მამა ღამბაშიძეს ერთი მაინც ამისთანა საყვედურით სავსე წერილის ავტორი დაესახელებინა თვის „მწყემსში.“ მე დარწმუნებულ ვარ, რომ მ. ღამბაშიძეს არა ვითარი წერილი არ მიუღია არც ერთი მღვდლისაგან და თუ მიიღო ერთი ან ორი წერილი, ან სიტყვიერად გარდასცეს ამდენმავე ისინი იქნებოდენ იმ მღვდლებთაგანნი, რომელნიც ჰფიქრობენ, რომ ვითომც ღამბაშიძის მეტს იმერეთის სამღვდელოებაში არავის პროტოკოლის შედგენა კი არა, სიტყვის თქმაც არ შეუძლიან. ერთის სიტყვით ეს მღვდლები, უკეთუ ღამბაშიძის სიტყვები არიან მართალნი, იქმნებოდენ მისი საბლალოჩინოის მღვდლები, რომელთაც გაზეთი იშვიათად წაუკითხნიათ გარდა ღამბაშიძის „მწყემსისა“, რომელთ იგიც ძალ დატანებით აქვსთ გამოწერილი და, შემხედვარეთ ამ გაზეთის სტრიქონებისა, ჰგონიათ, ვითომც მამა ღამბაშიძე გენიოსი იყოს. ყოველ კაცს, თუ სულ გაფუჭებული არ არის ზნეობით, აქვს თავმოყვარეობა; მაგრამ ამ გვარი თავმოყვარეობა მამა ღამბაშიძეს სრულებით არ უხდება. მე ახლაც დარწმუნებული არა ვარ, თუ მ. ღამბაშიძე ამ შენიშვნას ხუმრობით არა სწერს და უკეთუ იგი გულწრფელად ამბობს ყველაფერს, იმ შემთხვევაში მეც გულწრფელად ვიტყვი, რომ მას ნამდვილ ჰქონია ესეთი თავმოყვარეობა. ყოველ ამ გვარ კაცს ჰგონია, ვითომც მისი ბადალი კაცი არ მოიძებნებოდეს. თუმცა კარაბადინები, ლოცვან-კალენდრები და წმინდა სამთლის განსყიდვაზედ წიგნაკები ბევრი დაბეჭდა და იგინიც ძალით გამოაწერინა ეკლესიებს, მაგრამ ამით იგი გენიოსობას ვერ დაიმსახურებს. მ ღამბაშიძე ამბობს თავის შენიშვნაში საშინელის განცვიფრებით სამდურავს მასზედ თუ რატომ მისი წერილი არ წაეუკითხე ყრილობას. (თითქმის სხდომა გათავებული გვქონდა და ჟურნალს ვადგენდი, როდესაც ღამბაშიძის გამოგზავნილი წერილი მომცა ერთმა მღვდელმა და მთხოვა წაიკითხე ყრილობაშიო. ამ წერილში ეწერა შვილი ავად მყავს და მე არა მცალიან მანდ ამოსასვლელათაო. მოკლეთ შინაარსი ამ წერილისა ეს გახლდათ.) ბამოტეხილი პასუხი უნდა მოვახსენო მას, რომ მის წერილს არა ვითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა; დეპუტატები, როგორც მაშინ, ისე ყოველთვის აკლდებიან რამოდენიმე, მაგრამ თავს-მჯდომარისათვის წერილით თავი არავის მოუბეზრებია. ყრილობაზედ დეპუტატები საკმაო რიცხვზედ მეტი იყო და ღამბაშიძე მაინც და მაინც რაღა საჭირო იქნებოდა და მომეტებულად მისი წერილი ამასთანავე; თვით იმ დღეს მ ღამბაშიძე ჭუთაისში იყო, ეს მე ნამდვილად ვიცი და თუ მას შვილის ავადმყოფობამ ჭუთაისში მოსვლა ვერ დაუშალა, ყრილობაზედ ამოსვლა მისი რაღამ დააბრკოლა? მაგრამ აქაც იმალება, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, კიდევ გადამეტებული თავმოყვარეობა. მას ეგონა, რომ მის მეტს კაცს ვერ იშოვნიდა სამღვდელოება და მას ხელით აიტაცებდენ და დასვამდენ თავს-მჯდომარეთ. წაგიხდათ, მამაო დავით, თქვენი ფანდები. თქვენმა წერილმა დაიგვიანა. ჩემს ამორჩევამდის რომ გამოგეგზავნათ, სამღვდელოება შეიტყობდა თქვენს ჭუთაისში ყოფნას და ყურადღებას მოგაქცევდათ; მაგრამ, საუბედურად, იმ დროს მოვიდა თქვენი წერილი, როდესაც ყრილობას არც ახსოვდა არსებობდით თქვენ სადმე მაშინ თუ არა. მამა ღამბაშიძე ამბობს, ვითომ მე წესიერება არ დამეცვა სხდომაზედ. რა გასაკვირველია, რომ დეკანოზები, ბლალოჩინები და დაჯილდოვებული მღვდლები მე ისე არ დამემორჩილნენ, როგორც თქვენ. მე გახლავართ, მამაო დავით, ერთი უბრალო მღვდელი ჭუთაისისა და თქვენ ბრძანდებით ბლალოჩინი შორაპნისა, კამილავკიანი და კავალერებიანი. მაგრამ არც ასე იყო საქმე, როგორც თქვენთვის მოუტანია ამბავი თქვენს მზვერავებს და გამალმერთებლებს. თქვენ რას ეძახით წესიერების დაცვას? თუ იმაზედ ამბობთ რომ მღვდლებში გახურებული ლაპარაკი იყო, მე გიპასუხებთ, რომ არც ერთს ყრილობაში თქვენის თავს-მჯდომარეობის დროს ამაზედ ნაკლები ხრიანცელი არ ყოფილა და არც ეხლანდელი ყრილობა და თქვენის თავს-მჯდომარეობის დროის ყრილობა ერთმანეთს არ ემგზავსებიან. აი რისთვის: ამისთანა საინტერესო საგანი თქვენ არასოდეს არ შეგხვედრიათ; გაიხსენეთ, მამაო, თუ რა ყვირილი და არეულობა იყო ხოლმე თქვენის თავს-მჯდომარეობის დროს, როდესაც საქმე შეეხებოდა სასწავლებლის რომელიმე მოსამსახურე პირის ჯამაგირის მომატებას სამის თუმნიდგან ათ თუმნამდის. და ეხლა ათ თუმანზედ-კი არ გახლდათ ლაპარაკი, საქმე ეხებოდა თითქმის ორმოცდა-ათი ათას მანათს. ან შეიძლება თქვენ ეძახდეთ წესიერების დაუცველობას, რომ მე დეპუტატები ისე არ ვაწვალე, როგორც თქვენ აწვალებდით წინანდელს სხდომებზედ. მე ერთს დღეს გავათავებინე ამ შესანიშნავი საგნის გარდაწყვეტა და თქვენ-კი სამსა და ოთხს დღეს სულ უბრალო საგანზედ ლაპარაკით ჭანცაედით სამღვდელოებას; და ან შეიძლება იმაზედ მემდუროდეთ, რომ თქვენსავით ჩემს საუთარს კაბინეტში არ შევადგინე, როგორიც მე მსურდა, იმისთანა შინაარსის ჟურნალი და სამღვდელოებას ბრმად ხელი არ მოვაწერინე. პატიოსნება ყურში ჩამჩურჩულებდა: როგორც უმეტესობამ გარდასწყვიტოს, ის აქავე დაადგინე და ხელიც ახლავე მოაწერინეო; მე ნამდვილ ისე მოვიქეცი და თუ წაგიკითხავსთ, კანონიც ისე ბრძანებს, და თქვენ-კი, მ. დავით, თქვენს კაბინეთში ადგენდით სურვილისამებრ

მტკიცებული თავის თანამდებობაზე; იგი არის ამ თანამდებობის მხოლოდ აღმასრულებელი. დიდი ხანიც გახლავესთ, რაც იგი ამ თანამდებობას ასრულებს, ასე რომ ქუთათურებმა მას მეტ სახელად «გამოუცვლელი» უწოდეს. რასაკვირველია, რომ იგი უმთავრეს მონაწილეობას იღებდა ზემოხსენებულ მწეერთა ვარამში. მან მაშინვე იხმარა თავის გამოსახსნელი საშუალება. რამოდენიმე საათის განმავლობაში და წმენდილ იქმნა ქუჩები, ქალაქის ბაღი, რომლის კარებთანაც კოხტად ჩაცმული დესეტნიკები იდგნენ,— უბრალო ხალხი არ შემოუშვათო»! სამეფო სახლი ეზოთურთ გაასპეტაკეს. ასე წარმოიდგინეთ, ქალაქის გარედ რომ ბაღია, ესრედ წოდებული «ფერმა», ისე ლაზათიანად იყო დაგვილი, რომ მარგალიტის მარცვალი გაგვარდნოდათ, არ დაიკარგებოდა. აღარა სჯობდა-რა ჩვენი ჭუთაისის ნახვას. თითო ბირჟაზე პრისტავი იდგა, ორი დესეტნიკითურთ, წმინდად და გემოიანად ჩაცმულნი. ერთს ვეებერთელა «ონოლის» ღორს. ჩვეულებისა-მებრ მოენდომებია გასეირნება ქუჩებზე; მერმე ისე უზდელად, რომ სრულებით არ მიეხედა ქუჩების ახალი სიწმინდისათვის. უჩიჩქნიდა მათ პირებს და ავარჯიშებდა ამ ხელობაში თავის თხუთმეტ გოჭს. აი ამ უზდელობისათვის ორმა დესეტნიკმა გამოსჭრეს მას ყელი. საბრალო გოჭები უდედურად აქეთ-იქით გაიფანტნენ. ღორს რა ეზრახება, როდესაც კაცებიც კი არ იშლიან კადნიერებას;...

* * *

მკითხველო! რაღა თავი შეგაწყინო ბევრი ლაყბობით. ჭუთაისი გაიწმინდა, გასპეტაკდა ისე, როგორც არა სოდეს არ გაწმენდილ-გასპეტაკებულა. რიონი სამ საათს ტალახიანით მიდიოდა, მასში ჩაყრილი ნაგავ-ბინძურობის გამო. ქალაქი კეკლუც გასათხოვარ ქალს დაემსგავსა მშვენებით. სხვათა შორის მედროშეებსაც ნაბძანები ჰქონდათ: «მუშტარმა, რომ მიგიწოდოსთ, ერთმა მეორეს აცალეთო». მცხოვრებლებსა და თავად-აზნაურობას ამ გაწმენდილ ქალაქში საქეიფო საღერღელი აეშალათ. მხიარულებას მხიარულება მოჰყვა. სახემწიფო სახლშიაც სეირნობა გაიმართა, რომლის დროსაც (გაკვრით მოგახსენებთ) ერთი სტაქანი ჩაი ათი შაური ანუ მანათი ღირდა. სეირნობა არ იყო ურიგო. სამხედრო მუსიკა განუწყვეტლად ულხენდა მოსეირნეებს. მაშხალეებსაც შხუილ-შხუილი გაჰქონდათ ცის სივრცეში. ამას დასძინეთ მიუძინებელი რიონის ღრიალი და შეყვარებულ წყვილთა ცქრიალი. ისიც მოიხსენეთ, რომ ეს სეირნობა გახლდათ ღარიბი ქალების სკოლის სასარგებლოდ.

სასიამოვნო იყო პაწაწა ქალების გალობა, როგორც რუსული, ისე ქართული-ხელმძღვანელობით ქართული გალობის მასწავლებელი ბ. ბენაევისა, რომელსაც გულითად მადლობას ვუძღვნით ყველანი, ვისაც კი გვესმა დიდ-სანატრელი და საგრძნობელი მშობლიური ჰანგები. ვინც ინებებდა, ამ დაუვიწყარი საღამოს სახსოვრად, შეეძლო შეეძინა თვით პაწია ქალების ნახელსაქმარი, მაგალითად მოქარგული პატარა ბალიშები, საათის ბუდეები და სხვანი.

ეს პირველად არ არის ქალების სასარგებლოდ სეირნობა გამართული. ქალავაც იყო იგი. ამას გარდა ალეგრაც გახლდათ. შემოუსავლობას ფულისას ვერ დაემდურებოდენ, თუ კი ეს ფულები დანიშნულ ჯამში ჩაცვივდა. ხოლო ვაქების გიმნაზია დაგვრჩა გულმტკივნეულად. წარსული წლების გულმხურვალობას და მზრუნველობას აღარავინ იჩენს მასზე...

* * *

რა ბრძანებაა? ჭუთაისი აღარასფერში არ ჩამოუდგება უკან საქართველოს სატახტო თბილისის ქალაქს. ქალაქელებს ერთი ბლდანელი გყვანდათ ამაყობის საგნად, სამაგიეროდ ჩვენც გამოგვიჩნდა ფალავანი, რომელიც ბლდანელისთანას სამს შეჰკრავს

თქვენისა ჟურნალებსა და განჩინებებსა და მესამე-მეოთხე დღეს მოუტანდით და მოაწერინებდით ხელს. შეიძლება თანახმანიც არ იყვნენ დეპუტატები თქვენის დადგენილის ჟურნალ-პროტოკოლებისა, მაგრამ რა ექნათ საცოდავს დეპუტატებს: სამისა და ოთხი დღის დახარჯულნი და დაქანცულნი, ისეც ღარიბნი დეპუტატნი არც დაეძებდენ რაზედ აწერდენ ხელსა, ოღონდ პატარა დროზედ სახლისაკენ ექნათ პირი. აი, მამაო, წესის დაუცველობას ამას ვეძახი მე. ამ კრებას არავითარი ნაყოფი და გამჭრიახობა არ გამოუჩენიაო, ბრძანებთ თქვენ და რისთვის? მისთვის, რომ სემინარიის დაარსების მაგიერად ქ. ქუთაისში, არ გაგიხსენით სასულიერო სასწავლებელი შორაპანში...

კრებას სრულებით უარი არ განუცხადებია ქუთაისში სემინარიის დაარსებაზედ; იგი თავის დადგენილს ჟურნალში სთხოვს ყოველად-სამღვდელოს იქონიოს შუამდგომლობა უწმინდეს სინოდთან და უკეთუ სინოდს როდისმე ექნება საშუალება და შეეწევა ქუთაისის სამღვდელოებას სასულიერო სემინარიის დაარსებაში, იმ შემთხვევაში იგი დასტოვებს ფულს სასარგებლოდ მომავალის სემინარიისა იმავე წესით და ზომით თავის ჯამაგირიდგან, როგორც დღემდის დაუტოვებია, საჭიროჯამის შეესებამდის; დღეს კი, რადგანაც უწმინდესი სინოდი თითქმის უარს გვეუბნება ამ საქმეში, ჩვენი ფული დაგვიბრუნდესო.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ამაზედ მეტს ვერც არაფერს თქვენ გააკეთებდით, მამაო დავით, რადგანაც დეპუტატებს ჰქონდათ მინდობილი მათის მარწმუნებლებთაგან და ზოგს წერილობითი ვექილობებიც, რომ ფული გამოითხოვეთ და სხვაზედ მსჯელობა არაფერზედ იქონიოთო.

ეს ვექილობები მე კრებასაც წავუკითხე თანახმად მათის თხოვნისა.

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოთა დეპუტატთ მე XXII-რე კრების ყოფილი თავს-მჯდომარე მღვდელი

ნიკოლოზ ხუციევი.

მაისის 8-ს.

წერილები რედაქტორთან

ნება მოგვეცით თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა განვუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც ყურად იღეს ჩვენი თხოვნა და ჩვენის ბიბლიოთეკისთვის შემოგვწირეს წიგნები.

შესაწირავი მივიღეთ:

გაბრიელ ეპისკოპოზისგან მისი ქადაგების ორი ტომი; კოსტანტინეპოლის ქართველთ კათოლიკეთ მონაზონთაგან 7 წიგნი; დ. ყიფიანისგან მისგანვე გამოცემული ქართული გრამატიკა; რაფიელ ერისთავისაგან მისი სამეცნიერო ლექსიკონი და ანდრია ღულაძისგან «ლომ-კაცი» ბ. წერეთლისა.

ამ პატივცემულ პირთ და აგრეთვე «დროების», «ივერიის», «ნობათის» და «მწყემსის» რედაქციებს გულითადს მადლობას ვუძღვნით ჩვენდამი მათ ყურადღებისათვის.

იმედს არ ვკარგავთ, რომ სხვა გამომცემლებიც არ დაგვიიწყებენ და გამოგვიგზავნიან ამ ადრესით:

Paris, rue Flatters 10. A M-r Georges Wesirichvili.

პარიელი ქართველი მოსწავლეები.

ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

ივნისის 5-ს.

პეტერბურგი. საჯაროდ გამოაცხადეს უმაღლესად დამტკიცებული აზრი სახემწიფო რჩევისა შესახებ ურთიერთ შორის ვაჭრობის ქონვისა იმპერიისა და ფინლიანდიის შორის.

გამოვიდა პირველი ნომერი „ეკონომიური ჟურნალისა“, რომელსაც ბ-ნი სუბოტინი ბეჭდავს. იგი გამოდის თვეში ორჯერ, თითო ნომერი შეიცავს რვა დაბეჭდილ თაბახს.

უმართებელესი სენატის სისხლის საქმეთა კასაციური დეპარტამენტის მეორე განყოფილებამ, მოისმინა რა ვიტებსკის ოლქის სასამართლოს პროკურორის გამო საქმე ებრაელთ ლაცოვებისა, რომელთაც ბრალდებოდათ მოგვლა ქრისტიანის ქალის მარიამ დრიჩასი ლიუტინოში, დღეს დაადგინა: ა) სასამართლოს განაჩენი და გამამართლებელი გადაწყვეტილება ნაფიც მსაჯულთა უნდა დაიშალოს და ეს საქმე უნდა გადაეცეს იმავე სასამართლოს მეორე განყოფილებას საქმის შინაარსის (по существу) განსახილველად, ბ) მოქმედება თავს-მჯდომარის კირილოვისა, რომელმაც არ შეაყენა არც ადვოკატები და არც პროკურორი, გადაეცეს განსახილველად სენატის პირველს კასაციურ დეპარტამენტს; გ) პროკურორის ამხანაგის დეიტრიხის უადგილო სიტყვების შესახებ მიახსენდეს იუსტიციის მინისტრს და დ) ნაფიცი ვექილის თავ. ურუსოვის მოქმედების შესახებ მიეწეროს ვიტებსკის სასამართლოს, რომ მან აცნობოს ნაფიც ვექილთა რჩევას.

ვოლოგდა. დღეს მობძანდა აქ დიდი თავადი ვლადიმირ ალექსანდრეს-ძე.

კარლსბადი. გარდაიცვალა გენერალ ფელდ-მარშალი მანტეიფელი.

ლონდონი. გლადსტონის სამსახურიდან გასვლის გამო, დედოფალმა უბრძა მას გრაფის ღირსება ქვეყნისათვის სასარგებლო სამსახურისთვის. გლადსტონმა არ მიიღო ეს ჯილდო

გაზ. „Standard“-ის ცნობებიდამ სჩანს, რომ ლორდ სალისბიური პირველი მინისტრის თანამდებობის გარდა მიიღებს აგრეთვე გარეშე საქმეთა მინისტრის პორტფელს; ლორდი ჩერჩილი მიიღებს ინდოეთის საქმეთა მინისტრის პორტფელს

სიმლა. „რეიტერის სააგენტო“ გვაცნობებს, რომ ქაშმირში მეორედ ყოფილა დიდი მიწის-ძვრა. მუზაფარადადის მაზრაში დაღუპულა, როგორც ამბობენ, 2000 კაცზედ მეტი.

ბრიუნი, (მორავიაში). ფაბრიკანტებს და მათ მუშებს მოუვიდათ უთანხმოება სამუშაო დროს (рабочее время) შესახებ და ამის გამო გუშინ სალამოთი მუშებმა მოახდინეს უწესობა: მუშები დას-დასობით დაეცნენ რამდენიმე ფირმის ქარხნებს, დაამტვრიეს ქვებით კარებები და ფანჯრები; ჯარები გაერიენენ საქმეში და იხმარეს იარაღი. რამდენიმე კაცი დაიჭრა; ბევრნი დატუსადეს. შუადამის ხანს აღადგინეს წესიერება.

ბირჟა

პეტერბურგი მაისის 31.

100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე	— — $24^{8}/_{16}$, $24^{3}/_{8}$ $24^{3}/_{16}$
100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე	— —$206^{1}/_{2}$ $206^{1}/_{4}$ $26^{1}/_{4}$
100 მან. კურსი სამის თვით პარიზზე	— — $255^{3}/_{4}$ 255
პოლუიმპერიალები	— 8 მ. 18 კ. გაუ.
ტამოჟნის კუპონები	— 8 მ. 15 კ. გაუ.
ვეცხლის მანათი	— 1 მ. 29 კ. გაუ.
ბირჟის დისკონტი	— — 6 და $6^{3}/_{4}$%
5% ბილეთები სახემწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა	— — — 99 მ. 12 კ. გაუ.
მეორე გამოცემისა	— 97 მ. 62 კ. გაუ.

და შეჰბოჭავს. ვერც მოყვანილობით და შეხედულობით შეედრება ბლდანელი მას. ეს გახლავსთ ნესტორ ესებუა — მეგრელი. ბამოგვიგზავნეთ თქვენი ბლდანელი და დაგიმტკიცებთ, რომ ლომი სრულებითაც არ არის საკინლად ასაგდები საქმელი. ხუმრობა კი არ გეგონოსთ. ხმა გავარდნილა: „ესებუამ ბათუმში დაამარცხა გამოჩენილი ბლდანელიო. ეხლა ამ უკანასკნელს ითხოვენ ქუთაისში ესებუასთან საჭიდაოდ, მაგრამ ვერ ჰბედავსო“! მოგეხსენებათ, ეს ნახევარი წელიწადია უცდის ქუთაისში ბლდანელს მეორე მოჭიდავე — რაჭველი ქვათაძე. ბავთაგდით ის ის იყო ლოდინით და ბოლოს განვიზრახეთ ამ ორი ფალავანის დაჭიდება. ჭიდაობის გამართვა ითავა ნახევარის შემოსავლის ჯილდოთი თ. ვ. წ—მა. ამ საქმეში ეს თავადი გამოცდილია. ბაიმართა ჭიდაობა ხარაზოვისეულ თეატრში. ხალხის ტევა აღარ იყო, ისე მოასკდენ თეატრს. მშვენიერი სანახაობა იყო ცხრამეტის წლის ესებუა, საკმაოდ დავაქკაცებული და დასრულებული, მაღალი, სქელი მხარ-ბეჭით და გასაოცარის მკერდით. (ეს რა მაგის პასუხია და ბევრს ქალებს კი დარჩა მასზე თვალი). პირველად ესებუა გამოვიდა; არა ნაკლების შნოთი გამოხტა სცენაზე ხანში შესული ქვათაძე, — წითელი დარაიის პერანგში და ამ გვარსავე შარვალში; ზევით მას შავი ჩოხა ეცვა. ესებუა კი თეთრად და უბრალოდ იყო გამოწყობილი. ქვათაძემ ჩამოუარა ზურნის ხმაზე ლეკური. პირველად შეუტია ესებუამ. დაეჯახენ ერთმანეთს ვეფხვ-ლომივით, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ბრძოლა. შავარდენის სისწრაფით ესებუამ დაჭრა მოპირდაპირე და დაანარცხა იატაკზე. ამ დროს ხალხი ველარ შეიკავა ბაწრებმა, რომელნიც ჰყოფდენ მათ მოჭიდავეებისაგან. ბადახტენ, აირ-დაირიენ, მიესიენ მოჭიდავეებს და ატყდა გაურჩეველი კრივი. ამ უწესოების მიზეზი მეგრელები იყვნენ. მივიდა იარაღამდის საქმე. «ჩვენ გავიმარჯვეთ, ვცემოთ იმერლებსაო!» გაჰკიოდენ მეგრელები. ცუდია ეს გრძნობა. შემიძლია თამამად მოგახსენოთ, ამ შემთხვევაში იმერლები სრულებით ამითვე არ ხელმძღვანელობდენ: ჩვენ ეხედავდით ორს მოჭიდავეს, ორივეს ქართველს და უმრავლესობის სიმპატია იყო ესებუასკენ, როგორც უფრო ახალგაზდისაკენ. ორი მეგრელი დაიჭრა მძიმედ და ერთი იმერელი თ. ა. ე—ეი. ეს ამბავი მოხდა შაბათს, ივნისის პირველს.

* * *

ვაი ჩემს თავს! რაზე დავიწყე ლაპარაკი და რაზე გადაველი?! მე ხომ სულ სასწაულზე მინდოდა ბაასი. ჩეხა და კრივი რა სასწაულია ჩვენში. ამ შესანიშნავ მოვლენათა შემდეგ, ქუთაისი გახდა მოწამედ მრავალი სასწაულებისა. რიონმა აღარ დაჰფარა მასში გადაყრილი ნაგავ-ბინძურობა და როგორც ვეშაპმა ეგრეთვე მან აჰყარა თავის კიდეებზე ყველაფერი, რაც ერთი კვირის წინად მიაბარეს მას. დაგროვდენ ნაგვის გორები, რომელნიც ავ-სუნობით, სიგრძით და სიგანით თუ გადააჭარბებენ ადრინდელებს, თორემ ნაკლები მაინც არ იქმნებიან. ქალაქის ბაღშიაც ადრინდელებურად განუმორებელი ძაღლთა გროვაა. ქუჩების ნაპირებზედ დაგროვდა მწკრივ-მწკრივად ნაგვის ზვინები, რომელნიც გატალახდენ წვიმების გამო, და რომელთაც იგივ «ოქნოვის» ლორი რალაც მანქანებით «გაცოცხლებული» თავისი თხუთმეტი გოჭით ჰქექავს ცხვირით და ანიავებს ქუჩაზე.

* * *

ის-ის იყო ამ ფელეტონს ვათავებდი, შემოვიდა ჩემთან ერთი ჩემი მეგობარი და ახალ ამბავად მიამბო შემდეგი: «ორიეე მოჭიდავენი დაუჭერიათო. რაიო და ჩხუბისა და არეულობის მიზეზი ჭიდაობა იყოო! (??)»

რ. ალისუბნელი.

მესამე გამოცემისა	— 97¾ მ.
მეოთხე გამოც. —	— 97 მ. 37 კ. გაუ.
მეხუთე გამოც. —	— 97 მ. 37 კ. გაუ.
5% ალმოს. სესხ. 100	
და 1000 მან. —	— 94 მ. 62 კ. გაუ.
მეორე გამოც. —	— 94¾ მ. გაუ.
მესამე გამოც. —	— 94½ მ. გაუ.
5% მომგები ბილეთები	
I შინაგანის სესხისა	— 222 მ. გაუ.
5% მომგები ბილეთები	
II შინაგანის სესხისა	— 208½ მ. გაუ.
ოქროს რენტა —	— 168¾ მ. გაუ.
თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ.	
ფურცლები —	— — 27 წ. 89 მ. გამყ.
	43 წ. 88¾ მ. გამყ.
ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც.	. . . . .

ცნობანი

საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშევი ამით აცხადებს რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ექიმები:

არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

კოროლნა, სამშაბათობით და შაბათობით.

მელიქ-ფარსადაგოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ბებიები:

ფილჩაკოვისა, სამშაბათობით.

გაგინოვისა, ორშაბათობით და პარასკევობით.

სტეფანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლოქშისა, ხუთშაბათობით და კვირაობით.

რკინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის

თბილისიდან ბათუმისაკენ

8 საათზე და 35 წამ. დილით.

ბათუმიდან თბილისში შემოდის

10 საათ. 25 წამ. ღამით.

თბილისიდან ბაქოსკენ

10 საათზე 55 წამზე ღამით.

ბაქოდან თბილისში შემოდის

8 საათ. დილით.

თბილისიდან სურამისაკენ

3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.

სურამიდან თბილისში **შემოდის**

8 საათზედ 24 წამ. დილით.

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 თიბათვიდამ 15 თიბათვემდე 1885 წ.

გამომცხვარი შური რუსეთის ფქვილისა —	—1	გირ.	5 კ.
აქაურის ფქვილისა: პირველის სარისხისა —	—1	გ.	2½
მეორისა — —	—1	გ.	2 კ.
იმავე ფქვილისა თორნეში გამოცხვარი:			
პირველი სარისხის	—1	გ.	4½
მეორისა — —	—1	გ.	3 კ.
მესამისა — —	—1	გ.	2½
ჯვარის-მამის ჰური:			
პირველის სარის. ლავაში	1	გ.	4½
მეორის სარის. ლავაში	1	გ.	3½
მესამისა — —	—1	გ.	3 კ.
ძროხის ხორცი:			
პირველის სარისხისა	—1	გ.	8 კ.
მეორისა — —	—1	გ.	7 კ.
სუკი — —	—1	გ.	15 კ.
ცხვრის ხორცი —	—1	გ.	9 კ.
ღორის ხორცი:			
პირველის სარისხისა	—1	გ.	
მეორისა —	—1	—	გ.

განცხადებანი

თბილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამ 1885 წელს ივნისის 17-ს, დღისით 12 საათზედ, გამგეობის თანადასწრებით იქნება გამართული ვაჭრობა შესახებ ქალაქის ქუჩების 1778 ფარნის ფოტოგენით განათების. იჯარით გაცემისა. ვადა იჯარისა ორი წელიწადია დაწყებული წლევანდელი ივლისის 4-დან. პირობათა შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობის კანცელარიაში ყოველდღე დღისით ორ საათამდე, გარდა უქმე დღეებისა.

(3—2)

ევროპის ბაღში



დღეს ივნისის 7-ს.

პირველ დიდს

სელოვნურ-ოპტიურს წარმოდგენას

გამართავს გამოჩენილი ფიზიკოსი ვ. **ლერინგი.**

მოძრავ უდიდესს დაბუნდულს სურათებს უჩვენებს

სიდიდით 15 არშინიანებს.

დასაწყისი კონცერტისა: 7-ს საათზედ; **წარმოდგენისა** 9 საათზედ.

იმ დღეს, **როდესაც** ჩემი **წარმოდგენები** გაიმართება **ევროპის** ბაღში **მასკარადის** ბალები **არ** იქნება.

ვისაც ჩემი **აპარატების** ნახვის **სურვილი** აქვთ — **უფასოდ** შეუძლიანთ **ნახონ.**

დაწვრილებითი ცნობანი **აფიშაში** იქნება; **კვირას** ივნისის **9-ს** **მეორე** წარმოდ **გენა** იქნება.

(2—1)

სამკურნალო სამმართველოსგან ნება-დართული

ალვის ხე ანუ

ალვის ხის ბალზამი

მ. მ. ჰეტროვისა.

პირისახისათვის. № 1. ბაუმჯობესებული საშუალება, რომელიც აქრობს ფერიმჭამელას, წითელს ლაქას, გარუჟღვას, ღუდუდებს; ამ საშუალების მხმარებელს პირისახე უსუფთავდება და ლამაზ ფერს იჭერს.

თვალისათვის. № 2. ნამდვილად ასუფთავებს თვალის კანს ქერტლისაგან, აგრილებს თვალს, სპობს თვალის ტკივილს, ამისათვის თმა აღარ ჩამოუვა. რადგანაც ამ წამალს ყალბსაც ეკეთებენ, გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება ნიშანს (მ. მ. პეტროვი.)

ფასი ფლაკონისა 1 მ. 25 კაპ. და ½ ფლაკონი 75 კაპ.

უმოკვრესი საწყობი: აფთიაქებშია და მოსკოვის-საფთიაქო ყველა მაღაზიებში.

ისყიდება რუსეთის და სამზღვარ გარეთელ აფთიაქებში და ყველა საფთიაქო და სხვა მაღაზიებში.

ვინც ბლომად იყიდის მას % დაეთმობა.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ უმთავრეს საწყობში:

მოსკოვი, ნიკიტის აფთიაქი ჰეტროვისა, წინად კოლოვრისა. ფოსტით 3 მ. და 50 კაპ. ორს ფლაკონზედ ნაკლები არ გაიგზავნება.

Ц. 14120 (10—1)

ცნობილი თავის თვისებით განარიდოს სხეულის ნაწილებს ოფლი, განსაკუთრებით ფეხის თითებს.

გალვანინი

ისყიდება აფთიაქებში, აგრეთვე ევროპის დიდი სახელწოდების ყველა ქალაქების მეწვრილმანეებთან. **უმთავრესი დეპო** იმყოფება ვარშავაში თვით გამომგონელს, აფთიაქის მექონე ფორმაციის მაგისტრს ვ. კარპინსკისთან. ელექტორალის ქუჩაზედ, № 350. **დიდი კოლოფი გალვანინისა** ღირს ვარშავაში 50 კაპ., პატარა 30 კაპ.

ერიდეთ სიყალბით გაკეთებულს

და მოითხოვეთ, რომ ყველა კოლოფთან **დარიგების** ფურცელი იყოს, იგი როგორ იხმარება და პარიქის გამოიყენის **შედეგი.**

ვ. კარპინსკი, ფარმაციის მაგისტრი.

(10—9)

ინგლისური რკინის კრაოტები



ერთის საწოლი 6 მანეთიდგან, და ორის საწოლი 10 მანეთიდგან; მთიდეებები, ზღვის ბალახით გატენილი 4-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის ფეტლის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, კოვზები, შეფიდდის დანები ჩანგლებით, სამართებლები, დასადგმელი პირის საბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწოლ, რიუმკები, საქაშური, თეფშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები სარძეკვები, სამრილეები, გარჩიცის სიფსეკები, ბრობკის ამოსაღები, ბრობკები, კლიტეები, გასაღებები, კრანტები, აღკირები, სღილსტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალდო მაგრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერსები, ქლიბები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, ბიქები, ზარიადები, კაპსიულები, სიაფსგები, ნიჩბები, კატერბრუფი, საბნები, ჩუღქები, წინდები, სუფრები, სალფეტკები, რგოლები, ემალიანი ჭურჭელი. მურაბები, კამფეტები, კიბულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები, ბომაზეი და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში არწერნისეულს ქარვასლაში № № 95, 94, 9, 3, 91 და 90, 89. 88, 87, 86, და 85, უდიდესი ჩაის მაღაზია თბილისში.

(100—29)

რადგან ზოგიერთა პირთ გამოაცხადეს სურვილი წინ-და-წინვე ხელის-მოწერისა

სურათებიან ვეფხის-ტყაოსანზე,

ამისათვის შევამზადებინე კვიტანციები და მსურველთ შეუძლიანთ ეხლავე შემოიტანონ ფული ან სრულიად, ან ნაწილ-ნაწილ „დროების“ რედაქციაში. ფასი სურათებიანი ვეფხის-ტყაოსნისა, იქნება **რვა მანათიდამ ათ მანათამდე,** ხარჯის კვალობაზე. ხელის-მომწერი ფულის შემოტანისათანავე მიიღებს კვიტანციას, თუ იგი თბილისშია და შემდეგი ფულის შემოტანის დროს ან ეს კვიტანციავე უნდა წარმოადგინოს, ან შეატყობინოს მისი №-რი. თბილისის გარეშე ხელის მომწერთა ფული უნდა გამოგზავნონ რედაქციის ადრესით და კვიტანცია მოთხოვნამდე რედაქციაშივე შეინახება.

სურათებიანი „ვეფხის-ტყაოსნის“ გამომცემელი

(25—21) გ. ქართველიშვილი.

Доз. ценз. Тифлисъ, 6 Іюня 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი გ ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.